39

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№1553 2012 წლის 1 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პრემიერ–მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მ. ცქიტიშვილისათვის დელეგირების თაობაზე

1.„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის N244 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–4 მუხლის შესაბამისად საქართველოს მთავრობის კანცელარიაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის – ბრძანების გამოცემის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური სახდელის დადების, აგრეთვე საქართველოს პრემიერ–მინისტრისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივ მივლინებებთან დაკავშირებით სათანადო ბრძანების გამოცემის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის საფინანსო–სამეურნეო

40

საქმიანობის წარმართვისა და აღნიშნულთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს მაია ცქიტიშვილს.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პრემიერ–მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ო. გოგოძისათვის დელეგირების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ–მინისტ-რის 2012 წლის 16 ივლისის N1119 ბრძანება.

ბიძინა ივანიშვილი